საქართველოს მთავრობის
დადგენილება №213

2010 წლის 28 ივლისი

ქ. თბილისი

გზათსარგებლობის საფასურის ოდენობისა და მის გადახდასთან დაკავშირებული პროცედურებისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე

მუხლი 1

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 14^2 მუხლისა და 14^4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. განისაზღვროს თანდართული „გზათსარგებლობის საფასურის სავალდებულო გადახდასთან დაკავშირებული პროცედურები და პირობები“.

2. განისაზღვროს გზათსარგებლობის საფასური საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის/ზედამხედველობის ქვეშ ტრანზიტულად გადაადგილებული ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტით გასატანი (გარდა შიდა გადამუშავების ან დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცეული საქონლის რეექსპორტისა, ან როდესაც დადგინდა, რომ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს აქვს დეფექტი ან მისი რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებს და ამის გამო იგი მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს უბრუნდება) ტვირთის გადაზიდვისას – ერთ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 200 ლარის ოდენობით.

[2. განისაზღვროს გზათსარგებლობის საფასური საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის/ზედამხედველობის ქვეშ ტრანზიტულად გადაადგილებული ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტით გასატანი (გარდა შიდა გადამუშავების ან დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცეული საქონლის რეექსპორტისა, ან როდესაც დადგინდა, რომ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს აქვს დეფექტი ან მისი რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებს და ამის გამო იგი მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს უბრუნდება) ტვირთის გადაზიდვისას – ერთ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 350 ლარის ოდენობით. (ამოქმედდეს 2022 წლის 20 ივნისიდან)]

3. გზათსარგებლობის საფასურის ადმინისტრირება უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – შემოსავლების სამსახურმა 2011 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 26 ნოემბრის დადგენილება №361 - სსმ III, №157,01.12. 2010წ., მუხ.2219
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №390 - სსმ III, №168, 24.12.2010 წ., მუხ.2407
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის დადგენილება №13 – ვებგვერდი, 20.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ივნისის დადგენილება №363 – ვებგვერდი, 15.06.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ნოემბრის დადგენილება №561 – ვებგვერდი, 01.12.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 ივნისის დადგენილება №286 – ვებგვერდი, 08.06.2022წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური